შირაქი

№29 (9.594)

3–10 აგვისტო 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

სახალხო დღესასწაული - „ჩემი დედოფლისწყარო“

1 აგვისტოს დედოფლისწყარომ სახალხო დღესასწაული იზეიმა. საზეიმო კონცერტი საღამოს რვა საათზე დაიწყო და გვიან ღამით დასრულდა. მასში მონაწილეობდნენ ანსამბლი „გორდელა“, მომღერლები: თემურ წიკლაური, გიორგი შარაბიძე, ბოკა კვეკვესკირი.

ღონისძიებას უამრავი ცნობილი ადამიანი სტუმრობდა, ოფიციალური პირები და შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლები - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე შოთა მურღულია, ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე, მსახიობები დავით დვალიშვილი, ტრისტან სალარიძე, მეცნიერები, რეჟისორები... აქ იმყოფებოდა პოლონეთის ჟეშოვოს მხარის საგარეო და ტურისტული დეპარტამენტის ხელმძღვანელი მარია ნეხუნჟენბა, რომელმაც ზეიმის დაწყებამდე მუნიციპალიტეტის გამგებელთან ირაკლი შიოლაშვილთან ერთად დედოფლისწყაროს ღირსშესანიშნაობები დაათვალიერა.

ღონისძიების ბოლოს დაასახელეს წარმატებული დედოფლისწყაროელები და, ასევე, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება 5 ადამიანს მიენიჭა. გადაწყვეტილებას დეპუტატებმა კენჭი 1 აგვისტოს რიგგარეშე სხდომაზე უყარეს და საკითხი ერთხმად მიიღეს. **ირმა ინაშვილი, ნინო ჯღარკავა, ნათია მიქიაშვილი, თემურ წიკლაური** და **ზურაბ ხოსროშვილი** ჩვენი რაიონის საპატიო მოქალაქეებად დასახელდნენ.

წარმატებული დედოფლისწყაროელების ტიტული მიენიჭათ სხვა ქალაქებში მოღვაწე დედოფლისწყაროელებს, რომლებმაც რაიონს სახელი გაუთქვეს: გერმანიაში მოღვაწე დედოფლისწყაროელი პოეტი **ირმა შიოლაშვილი,** მსახიობი, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ მთავარი როლის შემსრულებელი **ლევან ყოჩიაშვილი**, მსახიობები: მზია არაბული და ლევან ჯიბღაშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრესასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **მაგდა პოპიაშვილი**, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **მაყვალა გონაშვილი,** პოეტი **მარინე ცხვედიაშვილი** და პედაგოგი **ცისანა მჭედლიშვილი,** ექიმები: **დიმა ტოკლიკიშვილი** და **გოჩა გოგილაშვილი,** პროფესორები: **დავით** და **ოთარ ნატროშვილები, ალეკო რობიტაშვილი;** არქიტექტორი **სერგო ქართველიშვილი,** მხატვარი **გია ალუღიშვილი,** მსოფლიო დონის საოპერო მომღერალი **ლადო ათანელი.** სამახსოვრო საჩუქრები მათ მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა გადასცა.

საზეიმო საღამო ფოიერვერკებით დასრულდა. კონცერტის შემდეგ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ელიას მთაზე, ელია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტერში გადაინაცვლა, სადაც ღამისთევა იწყებოდა.

საზეიმო კონცერტის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგაც მოწვეული სტუმრები და ორგანიზატორები თავიანთ განწყობას გაზეთ „შირაქთან“ აფიქსირებდნენ.

მეუფე მელქისედეკ ხაჩიძე: „ყველას გილოცავთ ამ დღეს. ასევე ვზეიმობთ სერაფიმე საროველის ხსენების დღეს. როდესაც სერაფიმ საროველი წმინდანად შეირაცხა, როცა ჩვენ რუსეთის ფედერაციაში შევდიოდით, პირველი ტაძარი აშენდა დედოფლისწყაროში. ასეთი დიდი ტრადიციის რაიონი ვართ და ასეთი დიდი წმინდანის სახელობის ეკლესია გვაქვს სოფელ სამრეკლოში. წმინდა ილია მთელს ქიზიყს ზემოდან დაგვყურებს და გვიცავს... მინდა, მთელი ჩვენი ეპარქიის სახელით მის უწმინდესობას, პატრიარქს მივულოცო ანგელოზის დღე. ისეთი კმაყოფილი ვარ დღეს, რომ ქვემოთ ავმღერდი კიდეც“...

ირაკლი შიოლაშვილი: ***(დედოფლისწყაროს გამგებელი):*** „დღეს ახდა ოცნება, რასაც ჰქვია „დედოფლისწყაროობა“ - ჩვენი რაიონის დღე. ამაყი ვარ იმით, რომ მოედანი სავსეა და ბევრია ისეთი ცნობილი ადამიანი, რომელთაც მთელი საქართველო პატივს სცემს. როგორც რიგითი დედოფლისწყაროელი, ყოველთვის მესმოდა, რომ დედოფლისწყარო მიტოვებული რაიონი იყო. დღეს ამ მასშტაბით რომ აღინიშნება, ამით კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ დედოფლისწყარო ერთ-ერთი მოწინავე რაიონია და ვისურვებ, რომ პირველობა არასოდეს დაგვეთმოს. ვულოცავ ყველას ამ დღეს და გპირდებით, რომ მომავალი პირველი აგვისტო უფრო მეტად მასშტაბური და მრავალფეროვანი იქნება“.

თემურ წიკლაური: „ეს ჩემი ქვეყანაა, საქართველო ჩვენი ქვეყანაა. სადაც ლხინია და სადაც ჭირია, იქ უნდა ვიყოთ, ერთად უნდა ვიყოთ, ხელჩაკიდებულნი. დიდ მადლობას ვუხდი მეუფეს. ბატონი თამაზი და ტარიელი დიდი ხანია მთხოვდნენ დედოფლისწყაროში ჩამოსვლას და მიხარია, რომ დღეს აქ ვართ. გილოცავთ ამ ლამაზ დღეს. წითელწყარო რომ ერქვა, რატომღაც წითელი იყო და ახლა დედოფლისწყარო რომ ჰქვია, (წარმოგიდგენიათ, რა საოცარი სახელი ჰქვია) მართლაც დედოფლის საკადრისი ქალაქია“.

ლევან ყოჩიაშვილი: „აქ დავიბადე, აქ გავიზარდე... თუ რაიმე დადებითია ჩემში, ამ რაიონიდან მაქვს. ყველა ელიაობაზე ვცდილობ აქ ვიყო. ასეთი ფერადი და გრანდიოზული არცერთ წელს არ ყოფილა და მიხარია. ყოველ პარასკევს ვცდილობ დედოფლისწყაროში ჩამოვიდე, იმდენად მიყვარს აქაურობა, არასოდეს არ მოვწყვეტილვარ. ბავშვებსაც უყვართ აქ ჩამოსვლა. საშუალება რომ იყოს, დედოფლისწყაროდან ვივლიდი თბილისში სამსახურში. სკოლას და მეგობრებს დიდი მნიშვნელობა აქვს. კარგია, რომ ტრადიციად იქცევა და მიხარია“.

(დასასრული გვ 8)

C M Y K

შსს-ს საქმიანობა ყველაზე დადებითად შეფასდა

„სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის თანახმად, ყველაზე დადებითად შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა შეფასდა. ქიზიყი.გე-მ მონაცემები მოიპოვა.

როგორც კვლევის პრეზენტაციისას „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ დამფუძნებელმა თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, მის ორგანიზაციას აინტერესებდა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რას ფიქრობენ მოქალაქეები სამინისტროების მუშაობასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა“ 2-დან 26 ივლისს მოსახლეობაში გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხვა ჩატარდა თბილისის რამდენიმე უბანში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში და ინტერნეტსივრცეში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სულ 3 980 ადამიანმა.

შეკითხვაზე, რომელი სამინისტროს საქმიანობას აფასებთ ყველაზე დადებითად 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, ხმები ასე გადანაწილდა:

880 ხმა მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 800 ხმა — საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, 540 ხმა — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, 460 — შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, თანაბარი, 210-210 ხმა ერგო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა და ფინანსთა სამინისტროებს. 200 ხმა მიიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, 190 ხმა — საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, 150 ხმა — საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ, 110 ხმა — საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, 70 ხმა ერგო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, 60 ხმა მიიღო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, 50 ხმა — საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ, 30 ხმა — საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, 20 ხმა — საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ხმა არც ერთმა გამოკითხულმა არ მისცა.

რაც შეეხება, წარმატებული რეფორმების შეფასებას, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის მიერ დასმულ შეკითხვაზე, რომელ რეფორმას მიიჩნევთ ყველაზე წარმატებულად 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, გამოკითხულთა 980-მა ადამიანმა მხარი საჯარო სკოლებში უფასო სახელმძღვანელოების რეფორმას დაუჭირა, 880 ხმა ერგო სოფლის მხარდაჭერის პროგრამას, 660 — ხმა — უფასო მშობიარობას, 450 ხმა — კომუნალური გადასახადების შემცირებას, ასევე 450 ხმა მიიღო საყოველთაო ამნისტიამ, 400 ხმა მიიღო გაზრდილი სოციალური დახმარების პროგრამამ, 240 ხმა ერგო სასამართლო რეფორმას, 200 ხმა — გაზრდილ პენსიებს და 8 ხმა მიიღო სამხედრო მოსამსახურეების გაზრდილი ხელფასების რეფორმამ, ხოლო 60 ადამიანმა "სხვა რეფორმა" მიიჩნია ყველაზე წარმატებულად.

განათლების მინისტრის მოადგილედ ზოგადი განათლების დარგში ლია გიგაური დაინიშნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ზოგადი განათლების დარგში ლია გიგაურია.

ამის შესახებ ჟურნალისტებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განუცხადა.

მან ჟურნალისტების შესაბამის შეკითხვას უპასუხა, რომელიც სწორედ განათლების მინისტრის ახალი მოადგილეების დანიშვნას შეეხებოდა.

როგორც თამარ სანიკიძემ განმარტა, ლია გიგაური მანამდე განათლების უწყების ზოგადი განათლების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

რაც შეეხება დანარჩენ მოადგილეებს, მათ კანდიდატურებზე კონსულტაციები გრძელდება.

საბოლო გადაწყვეტილება ამ საკითხზე უახლოეს ხანში გახდება ცნობილი.

კობა დავითაშვილი საპარლამენტო უმრავლესობას ტოვებს

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი კობა დავითაშვილი საპარლამენტო უმრავლესობას ტოვებს და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს. როგორც დავითაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, გადაწყვეტილება უმრავლესობასთან სისტემატური უთანხმოების გამო მიიღო.

„უპირველესად, მინდა ჩემი პოზიცია დავაფიქსირო სასამართლო პროცესთან დაკავშირებით, რომელზეც გამამართლებელი განაჩენი იქნა გამოტანილი ახალაიას და მისი თანამზრახველების მიმართ. ხელისუფლების მხრიდან უკვე გაკეთდა კომენტარები, რომელთა სულისკვეთება ის იყო, რომ ესაა სასამართლოს დამოუკიდებლობის დადასტურება და დემოკრატიის ზეიმი, რომ ჩვენ ასე უნდა გავაგრძელოთ. მე განსხვავებული მოსაზრება მაქვს. ახალაიას გამართლების დემოკრატიის გამარჯვებად გამოცხადება, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. ეს არაა დემოკრატიის ზეიმი. ეს არ არის ჩვენი მთავარი დაპირება, რომელიც შევასრულეთ. საქართველოში სასამართლო არ არის დამოუკიდებელი. მე ვთვლი, რომ ეს გადაწყვეტილება არის დაცინვა იმ ხალხის, ვინც დღემდე ელის სამართლიანობის აღდგენას. ესაა პირდაპირი შედეგი ხელისუფლების უნიათო კურსისა კოჰაბიტაციაზე და „საერთო სასამართლოების შესახებ კანონში“ გაკეთებული გაუმართლებელი დათმობები გაუმართლებელი რეჟიმის მიმართ. ვწუხვარ, მაგრამ არ შემიძლია თავი შევიკავო აუცილებელი კომენტარებისგან და შესაბამისი გადაწყვეტილებისგან, კერძოდ, ვინაიდან ჩვენს შორის ვხედავ სისტემატურ უთანხმოებას, ვტოვებ საპარლამენტო უმრავლესობას და ამ უთანხმოების გადაწყვეტას ვანდობ ქართველ ხალხს უახლოეს საპრეზიდენტო არჩევნებზე, სადაც ვგეგმავ თქვენს მიერ გატარებული კურსისგან დიამეტრალურად განსხვავებული პროგრამით გამოსვლას“, - განაცხადა დავითაშვილმა.

უმრავლესობიდან წასვლის შესახებ კობა დავითაშვილმა კოლეგებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობა.

უმრავლესობის წევრები კობა დავითაშვილის გადაწყვეტილებას უარყოფითად აფასებენ. პარლამენტის ვიცე-სპიკერის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, ასევე მიუღებელია დავითაშვილის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილება.

„ნაციონალური მოძრაობის“ შეფასებით კი კობა დავითაშვილი „პირველი მერცხალია“ და „ქართული ოცნების“ რღვევა გარდაუვალია.

სოფელ ფიროსმანში „მაგთის“ ანძა დაიდგა

აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანში ფიქვური კავშირგაბმულობის კომპანია „მაგთიმ“ ანძა დაამონტაჟა. ამ დრომდე სოფლის მოსახლეობა ამ ქსელით სარგებლობას ვერ ახერხებდა.

შედეგად კავშირი გაუმჯობესდება მეზობელ სოფელ საბათლოშიც, რომელიც რაიონულ ცენტრს მკვეთრად მოწყვეტილია.

სოფელ ფიროსმანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის, ვალიკო აბაშიძის განმარტებით, ანძა სულ მალე ჩაირთვება. მისი თქმით, ეს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა იყო, რაც კომპანიამ გაითვალისწინა.

ფიროსმანი საზღვრისპირა სოფელია, სადაც აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები და ინგილოები ცხოვრობენ. ფიროსმანი მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეს მდებარეობს და დედოფლისწყაროდან 48 კილომეტრითაა დაშორებული. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში 759 ადამიანი ცხოვრობს

სამთაწყაროსა და ფიროსმანში საქონელი დაიხოცა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროსა და ფიროსმანში 12 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი დაიხოცა. ადგილობრივების განმარტებით, დახოცილი საქონელი სოფლის განაპირას მდებარე მინდორში დამარხეს.

როგორც სოფელ სამთაწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა გულნარა ნადირაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ვითარების გასარკვევად ადგილზე ვეტერინარიის სამსახური გამოიძახეს. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საქონელმა საკვებად შხამიანი ბალახი მიიღო.

შეგახსენებთ, ორი წლის წინ ამავე სოფლებში ოცამდე ძროხა კალიის საწინააღმდეგო წამლობის შემდეგაც დაიხოცა.

ილია მარტყოფლიშვილი

ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „გეოგრაფიული ატლასი“ იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო რეესტრში შეიტანა

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის - იუნესკოს მსოფლიო საერთაშორისო რეესტრის კომიტეტმა ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „გეოგრაფიული ატლასი“ მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო რეესტრში შეიტანა.

„მინდა საზოგადოებას, მეცნიერებს, ისტორიკოსებს, კარტოგრაფებს მივულოცო ის ფაქტი, რომ ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობა ოფიციალურად გახდა მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილი. იუნესკომ აღიარა, რომ ჩვენ გვაქვს ძველი გეოგრაფიული და კატროგრაფიული განძი და ის დღესაც წარმოადგენს საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიის ისტორიის, გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის უმნიშვნელოვანეს წყაროს. ჩვენ ეროვნულ არქივში ვიღებთ ვალდებულებას, რომ ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფიულ ატლასს“ და „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ მოვუვლით და დავიცავთ ისე, რომ არასოდეს დადგეს ეჭვქვეშ მისი საერთაშორისო რეესტრში ყოფნის საკითხი“, - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

არქივის დირექტორის თეონა იაშვილის თქმით, ეროვნულმა არქივმა იუნესკოში მსოფლიო მემკვდრეობის საერთაშორისო რეესტრში შესატანად ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომები 2012 წელს წარადგინა.

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „გეოგრაფიული ატლასი“ ვახუშტი ბაგრატიონის ავტოგრაფებია, რომლებიც 1743-1755 წლებში შეიქმნა. როგორც ირკვევა, თავდაპირველად რუკები და ბაგრატიონთა გენეალოგიური სქემები ხელნაწერის შემადგენელი ნაწილი იყო და თითოეული რეგიონის აღწერას ერთვოდა შესაბამისი რუკა. სავარაუდოდ, XIX საუკუნეში რუკები და გენეალოგიური სქემები ხელნაწერისაგან განცალკევდა.

ვახუშტი ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „გეოგრაფიული ატლასი“ სანკტ-პეტერბურგის აზიურმა მუზეუმმა შეიძინა. 1925 წელს ბატონიშვილის ავტოგრაფები სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკიდან საქართველოს გადმოეცა და ამჟამად ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივშია დაცული.

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „გეოგრაფიული ატლასი“ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის პირველ სრულყოფილ გეოგრაფიულ აღწერას გვაძლევს. აქ მოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი პერიოდიდან XVIII საუკუნის 40-იან წლებამდე და მასში შესულია საქართველოს ცალკეული სამეფოებისა და სამთავროების ისტორია და მათი გეოგრაფიული აღწერილობა. რუკებმა განსაკუთრებული როლი ითამაშა კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიულ და კარტოგრაფიულ აღწერაში და დღემდე რჩება კავკასიის რეგიონის გეოგრაფიის შესწავლის საფუძვლად.

ეროვნულ არქივში ვახუშტის რუკების გამოფენა 10 აგვისტომდე გაგრძელდება. დასწრება თავისუფალია.

„ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ საპატრიარქო ზრუნავს მათზე“...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის მედიკოსებმა ჰუმანიტარული სამედიცინო აქცია ჩაატარეს. მათ ერთი დღის განმავლობაში ორასზე მეტი პაციენტი მიიღეს და გამოიკვლიეს. სამთაწყაროელებს დაუდგინეს დიაგნოზი და ერთ ნაწილს მედიკამენტებიც დაურიგეს. მოსახლეობის დიაგნოსტიკური კვლევა სამთაწყაროს ამბულატორიის შენობაში მიმდინარეობდა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში „მერლინმა“ გაარემონტა. მოსახლეობა მადლიერებას გამოხატავდა მედიკოსების მიმართ, რომლებიც მათ უფასოდ ემსახურებოდნენ, მაგრამ ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ მსგავსი აქციები გაცილებით ხშირად უნდა ტარდებოდეს. გაზეთი „შირაქი“ აქციის ორგანიზატორებს ესაუბრა.

ვატო სურგულაძე - **საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის დირექტორი:**

„ასეთი აქციები პატრიარქის კურთხევით პერმანენტულად ტარდება. ჩვენ ჩავდივართ იმ რეგიონებში, სადაც ცხოვრობენ იძულებით გადაადგილებული პირები, ლტოლვილები და ეკომიგრანტები. წინა ვიზიტი გვქონდა ახმეტის რაიონში,პანკისის ხეობაში, სადაც ჩეჩნეთიდან ლტოლვილები ცხოვრობენ, ასევე ვიმყოფებოდით სამეგრელოში, კერძოდ ზუგდიდის რაიონში, სადაც აფხაზეთიდან დევნილი 43 000 ადამიანი ცხოვრობს. ჩვენი აქციები არა არის ერთჯერადი. ჩვენ ჩამოვდივართ და ადგილზე ვნახულობთ, თუ რა პრობლემები აქვს მოსახლეობას ჯანდაცვის სფეროში და ვაკვალიანებთ, სად და ვის უნდა მიმართონ, რომ აირიდონ გრძელი რიგები და მოახერხონ სადაზღვევო პოლისებისა და პაკეტის სწორად გამოყენება. ჩვენი მიზანია, ხალხმა იგრძნოს, რომ ისინი მიტოვებულნი არ არიან და საპატრიარქო ზრუნავს მათზე.“

ჰუმანიტარული სამედიცინო აქცია, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა ისტორიული ჰერეთიდან და აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან ჩამოსახლებული მოსახლეობისთვის, გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ გაიმართება.

ინგა შიოლაშვილი

მოხმარების კულტურის ამაღლებისა და რთველის მოლოდინში

სკოლის ძველი შიფერით სამლოცველო გადახურეს

ელიის მიმდებარე ტერიტორიაზე დასასვენებელი ტყე-პარკი უნდა მოწესრიგდეს - ამის შესახებ განცხადება დედოფლისწყაროს გამგეობის 28 ივლისის თათბირზე გაკეთდა. აქვე აღინიშნა, რომ მისი დაბინძურებისთვის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა საჯარიმო სანქციების გატარება მოახდინოს, რათა ტერიტორია დაცული იყოს.

როგორც შპს „სერვისი 2007"-ის ხელმძღვანელმა **ელიზბარ ალუღიშვილმა** აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ადგილზე ნაგვის ურნები დაიდგა, შედეგი არც ამან გამოიღო და მოსახლეობა ტერიტორიას კვლავაც აბინძურებს. ***ისინი, ვინც საპიკნიკოდ ელიის მთის ხეივანს ეწვევა, საყოფაცხოვრებო ნარჩენებს იქვე ტოვებს. თათბირზე ითქვა, რომ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია მოქალაქეთა დაჯარიმება მოხდეს.***

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების საკითხს, თათბირზე ამ კუთხით არსებული პრობლემების მიმოხილვას დიდი დრო დაეთმო. სოფელ გამარჯვების რწმუნებულმა **გია ჭინჭარაულმა** აღნიშნა, რომ ის ოჯახები, რომელთაც წყლის მრიცხველი უკვე დაუმონტაჟდათ, ხშირ შემთხვევაში წყალს მრიცხველის გვერდის ავლით, არალეგალურად მოიხმარენ. მისი თემით, ასეთი შემთხვევები ხშირია და პრობლემა უნდა მოგვარდეს. სოფელ ზემო მაჩხაანის ნაწილი რეზერვუარის გაწმენდას ითხოვს და აღნიშნავს, რომ ზოგჯერ წყალს ქვიშა მოსდევს. გამგებელს განუმარტეს, რომ რეზერვუარის საფუძვლიანად გაწმენდა ვერ ხერხდება, რის გამოც ასეთი შედეგი გვაქვს.

„ყველაზე რთული ვითარება გვაქვს ოზაანსა და მირზაანში, ახლადდაგებული მილები ხელახლა შესაცვლელი ხდება. ის ხაზი, რომელიც გასულ წელს სახელდახელოდ დაფინეს, უხარისხო იყო და პრობლემამ თავი ისევ იჩინა," - აღნიშნა წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის ხელმძღვანელმა **გია გოგილაშვილმა.**

უკვე მერამდენედ აღინიშნა, რომ ***წყლის უდიერად მოხმარების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია დროულად დასრულდეს ყველა ოჯახის გამრიცხველიანება, ასევე, ურჩი აბონენტების დაჯარიმება. წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ შესაძლებელია მრიცხველის საფასური აბონენტმა ორი წლის განმავლობაში ეტაპობრივად დაფაროს.***

სამთაწყარო შარშანდელთან შედარებით 300 ტონით მეტ ყურძენს ელის

საუბარი რთველის დასაწყებად მიმდინარე მოსამზადებელ სამუშაოებსაც შეეხო. ცნობილია, რომ საქართველოს მასშტაბით რთველი თავდაპირველად დედოფლისწყაროდან იწყება, რადგან ყურძენი ყველაზე ადრე სწორედ დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფლებში, სამთაწყაროსა და ფიროსმანში მწიფდება. სამთაწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა **გულნარა ნადირაშვილმა** აღნიშნა, რომ მათ „გრემის" ღვინის ქარხნიდან უკვე მიიღეს ყურძნის ჩაბარების შეთავაზება.

რწმუნებული სამთაწყაროში გასულ წელთან შედარებით 300 ტონით მეტ ყურძნის მოსავალს ელის, მიზეზად კი იმ ფაქტს ასახელებს, რომ წელს ვენახების ნაწილის მორწყვა მოხერხდა.

„150 ჰექტარზე გაშენებული ვენახების მორწყვას ვახერხებდით, ამიტომ იქ, სადაც ვაზი მოირწყა, 1 ჰა-ზე 7-8 ტონა მოსავალს ველოდებით, ხოლო სადაც რწყვა ამ დრომდე ვერ ხერხდება, ალბათ, 1 ტონასაც ვერ მოვკრეფთ.

გასულ წელს ჩვენმა სოფელმა 1 400 ტონა მოკრიფა, წელს კი გაცილებით კმაყოფილი ვართ და 1 700 ტონა ყურძენს ველოდეგით, აქედან 1 200 ტონა საფერავი, დანარჩენი კი რქაწითელია. მართალია ალაზნიდან მორწყვა ფასიანია, თუმცა უმჯობესი იქნებოდა სრულად ვახერხებდეთ მორწყვას.

უნდა ითქვას, რომ წელს ამინდებმაც, შედარებით, ხელი შეგვიწყო," - განუცხადა გაზეთ „შირაქს" გულო ნადირაშვილმა.

ქალაქ დედოფლისწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა **ბესიკ ცისკარაულმა** აღნიშნა, რომ აუცილებელია, დედოფლისწყაროს აგრარულ ბაზარში სანიტარული სამსახური შეიქმნას და პროდუქტებზე მკაცრი კონტროლი დაწესდეს.

საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტში მიმდინარე სკოლების რეაბილიტაციის საკითხსაც. როგორც გამგებელმა აღნიშნა, იმის მაქსიმუმი გაკეთდა, ვიდრე მოლოდინი იყო: „სიმართლე გითხრათ, ველოდი, რომ წელს სამინისტრო ერთი, ან ორი საჯარო სკოლის რეაბილიტაციას მოახდენდა, თუმცა, შედეგად მივიღეთ ის, რომ 9 სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ჩვენი თხოვნა 100%-ითაა დაკმაყოფილებული, რაც თავისთავად მისასალმებელია და დიდი მადლობა განათლების სამინისტროს," - აღნიშნა გამგებელმა.

ითქვა ისიც, რომ რამდენიმედღიანმა წვიმებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლაში საკლასო ოთახების ნაწილი დააზიანა. სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას სამრეკლოსა და სამთაწყაროს საჯარო სკოლების სახურავგადახდილ შენობებში წყალი ჩავიდა. როგორც დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა **მიხეილ ბახუტაშვილმა** განაცხადა, დაზიანებული საკლასო ოთახების სრულად აღდგენის ვალდებულება სამუშაოების მწარმოებელ კომპანიას აქვს.

„ეს საკითხი შესაბამის უწყებებთან უკვე გავარკვიე და გვაქვს პირობა, რომ წვიმის შედეგად მიყენებულ დაზიანებებს თავად ეს კომპანია გამოასწორებს, ასე რომ, ვფიქრობ, საგანგაშო არაფერია. სხვა მხრივ სკოლებში რეაბილიტაციის პროცესი ჩვეულ რიტმში მიმდინარეობს და არანაირი შეფერხება არ გვაქვს," — აღნიშნავს ბახუტაშვილი.

შეგახსენებთ, განათლების სამინისტრო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 9 საჯარო სკოლის რეაბილიტაციას ახორციელებს, სარემონტო სამუშაოები რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს. შპს „მშენებელის" დირექტორის ირაკლი დონგუზაშვილის განმარტებით, სკოლებში მთლიანად იცვლება სახურავები, დამონტაჟდება მეტალოპლასმასის კარ-ფანჯრები, ასევე სკოლის შენობებთან გაკეთდება სანიაღვრე არხები.

აღინიშნა ისიც, რომ

სახურავების გამოცვლისას სამშენებლო კომპანიას ძველი შიფერი უნდა გაენადგურებინა, თუმცა, შიფერი გაჭირვებულ მოსახლეობას დაურიგდა და ამით გევრმა სოციალურად დაუცველმა ოჯახმა საკუთარი საცხოვრებელი სახლები შეაკეთა. არხილოსკალოს სკოლის ძველი შიფერით კი ადგილობრივი სამლოცველო სახლი გადახურეს.

დედოფლისწყაროს ჯანდაცვის რაიონული ცენტრის უფროსმა მარიეტა გონაშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ეფექტური სანიტარული ზედამხედველობა აღდგეს. მისი თქმით, ქვეყანაში C ჰეპატიტის კუთხით მართლაც რთული ვითარებაა.

ილია მარტყოფლიშვილი

ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროები ქვეყნის ეკონომიკის შემცირებას უარყოფენ

საქართველოს ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროები ეხმაურებიან საქსტატის მიერ ამ დღეებში გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რომ ქვეყნის ეკონომიკა წელს, შარშანდელთა შედარებით, შემცირდა –0,8 პროცენტით. ამასთან დაკავშირებით სამინისტროები ავრცელებენ ერთობლივ განცხადებას, რომელსაც „შირაქი" უცვლელად გთავაზობთ:

„საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და ჩვენი მოსახლეობის ინფორმირების მიზნით ვაცხადებთ:

ივნისის თვის ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასების მაჩვენებელი, არ არის საბოლოო და ის კიდევ ორჯერ დაზუსტდება. ეს მხოლოდ წიანსწარი შეფასებაა და არ შეიცავს რიგ მონაცემს, მათ შორის სოფლის მეურნეობის მაჩვენებლებს. ჩვენი მოლოდინით სოფლის მეურნეობა მხოლოდ ივნისში მშპ-ს დაახლოებით 1%-1.5%-იან ზრდას გამოიწვევს, რასაც სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც ადასტურებს და რაც ნიშნავს, რომ ზრდა არა ნეგატიური არამედ პოზიტიურია.

ამასთან, 2013 წლის პირველ ექვს თვეში, ჯამურად, საქართველოს ეკონომიკა კი არ შემცირდა, არამედ, მინიმუმ 1.8%-ით გაიზარდა.

2013 წლის პირველ შვიდ თვეში გადასახადების მობილიზების კუთხით ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები არათუ ნაკლებია, არამედ, აღემატება 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს (2013 წლის იანვარ-ივლისში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 3 785 მლნ ლარი, რაც 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 32 მლნ ლარით აღემატება; სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა კი, შეადგინა 3 558 მლნ ლარი რაც 28 მლნ ლრით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს). გამომდინარე იქიდან, რომ 2013 წლის ბიუჯეტში შემოსავლები აღემატება ხარჯებს და ხარჯვით ნაწილში ბიუჯეტს არანაირი პრობლემა არ აქვს, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ხელისუფლება შეუფერხებლად შეასრულებს ჩვენი თანამოქალაქეების წინაშე აღებულ ყველა ვალდებულებას, როგორც სოციალური, ასევე, ყველა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის დაფინანსების მიმართულებით.

დღეს საქართველოს ეკონომიკა გადის სტრუქტურული გაჯანსაღების პროცესს.

წინა ხელისუფლების პირობებში სახელმწიფოს უხეში ინტერვენციით, გაუმართლებელი ხარჯებით, ხელოვნურად მიიღწეოდა ეკონომიკური ზრდის მოკლევადიანი შედეგები, რომელიც არანაირად არ აისახებოდა მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

სწორედ არასაწარმოო ინფრასტრუქტურული პროექტები (პარლამენტის ახალი შენობა ქუთაისში, ბათუმი თაუერი, ანბანის კოშკი და ა.შ.), ასევე, ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა განხორციელება ტექნიკურ-ეკონომიკური სარგებლიანობის შესწავლის გარეშე დაიწყო (მაგალითად თბილისის შემოვლითი რკინიგზა) და რომლებზეც მილიარდზე მეტი დაიხარჯა, ქმნიდა ეკონომიკური ზრდის მხოლოდ მოკლევადიან, მყისიერ ეფექტს და არ ემსახურებოდა ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესს.

ეკონომიკური ზრდის ხელოვნური, არასწორი მეთოდებით პროვოცირების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გზა იყო ყოფილი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების „მითითებით" ბიზნესის მიერ განხორციელებული, არაპროფილური, ძვირადღირებული და ეკონომიკურად დაუსაბუთებელი პროექტები, რამაც ეს ბიზნესები ხშირ შემთხვევაში გაკოტრებამდე მიიყვანა. მოჩვენებითი ეკონომიკური წარმატების მისაღწევად „ნაციონალური" მთავრობის „კრეატიული" გადაწყვეტილებით იქმნებოდა საშუამავლო ფირმები (მაგალითად საშუამავლო ნავთობკომპანიები), რომლებიც ასრულებდნენ ბაზრის კონტროლის ფუნქციას, არ ქმნიდნენ რეალურ ღირებულებას და მხოლოდ ბერავდნენ ბრუნვებს. აღნიშნული საშუამავლო ფირმები დღეს აღარ არსებობენ და ბუნებრივია, მაჩვენებლებზე ესეც აისახა.

ამასთან, მანამდე არსებული კომპანიების გარკვეული ნაწილი კორუფციული გარიგებების შედეგად ახერხებდა მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებას ან ტენდერის გარეშე რამდენიმე ასეული მილიონი ლარის დაკვეთის მიღებას. აღნიშნული კორუფციული გარიგებები ბათილად იქნა ცნობილი და მიმდინარეობს ძიება, ხოლო დაწყებული პროექტების გაგრძელებისთვის საჭირო გახდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების სრული დაცვით ახალი ტენდერების გამოცხადება, რამაც დროში გააჭიანურა ზოგიერთი პროექტის განხორციელება.

ზემოთ ჩამოთვლილი ძალადობრივი ეკონომიკური გადაწყვეტილებების არაეფექტურობა უკვე შარშან ივლისიდან გამოჩნდა, როდესაც ზრდის ტემპებმა და პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა კლება დაიწყო. იმის გამო რომ ბიზნესმა რეალურად იგრძნო თავისუფლება, ხოლო ახალმა ხელისუფლებამ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით არ გააგრძელა ბიზნესზე ძალადობა, მიმდინარე წლის მარტიდან რეალური ტენდენცია მზარდია, ეკონომიკა გამოდის „ნაციონალური შოკიდან" და დაიწყო ეკონომიკის სტრუქტურული გაჯანსაღების შეუქცევადი, მდგრადი პროცესი. შემდეგი ეტაპი, ჯანსაღი, ბუნებრივი ზრდაა. ამ ეტაპზე უკვე გაუმჯობესებულია საგარეო სავაჭრო სალდო ექსპორტის ზრდის და იმპორტის შემცირების ხარჯზე", - ნათქვამია სამინისტროების ერთობლივ განცხადებაში.

პოლონელი სტუმარი დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი პოლონეთის ჟეშოვოს მხარის საგარეო და ტურისტული დეპარტამენტის ხელმძღვანელს მარია ნეხუნჟენბას მასპინძლობს. ის დედოფლისწყაროს 1 აგვისტოს ესტუმრა. პოლონელმა სტუმარმა დღის განმავლობაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე ისტორიული ძეგლები დაათვალიერა, ასევე ეწვია „ქოჩების ტბას“. ის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობასთან მდებარე სკვერში გამართულ გამოფენასაც ეწვია, მოგვიანებით კი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გრანდიოზულ კონცერტს დაესწრო.

გამგებლის, ირაკლი შიოლაშვილის განმარტებით, მარია ნეხუნჟენბას დახმარებით დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ოთხმა თანამშრომელმა პოლონეთში სტაჟირების კურსი გაიარა.

მიმდინარე წლის 18-23 ივნისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს პოლონეთში ვიზიტისას სწორედ მარია ნეხუნჟენბა მასპინძლობდა.

ალოობის გამო ხანძრის შემთხვევების მატება არ შეინიშნება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, რომელიც ყველაზე მეტ სახნავ-სათეს მიწის ფართობს ფლობს, ალოობის გამო ხანძრის შემთხვევების გახშირება არ დაფიქსირებულა. ამის შესახებ დედოფლისწყაროს-სახანძრო სამაშველო სამსახურის უფროსმა ზვიად ჯავახიშვილმა განაცხადა.

მან გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აღნიშნა, რომ წლევანდელი ალოობა განსაკუთრებულად მშვიდ ვითარებაში წარიმართა და ზაფხულის დადგომასთან ერთად მინდვრად გამოძახებების მატება არ შეინიშნება. მისი თქმით, ბოლო პერიოდში ნალექიანი ამინდები იყო, რამაც ველ-მინდვრებში ხანძრის შემთხვევები თავიდან აგვაცილა.

ჯავახიშვილი განმარტავს, რომ ბოლო დღეებში რამდენიმე ცრუ გამოძახება დაფიქსირდა, თითქოს საცხოვრებელი სახლი ინვოდა, თუმცა ადგილზე მისულ სამაშველო ჯგუფს მხოლოდ ბავშვების მიერ დანთებული კოცონი დახვდა.

გამოფენა-ტალანტების გამოსავლენად

ნახატები- ფერებისა და ხაზების სიუხვე, ზოგი უკვე ნატიფი და დახვეწილი, ზოგიც ჯერ ახლადფეხადგმული მხატვრის მიერ გამოყვანილი, მაგრამ საგრძნობი სამყაროს სხვაგვარი ხედვა, მხოლოდ ხელოვანის თვალი რომ აღიქვამს... ნაკეთობები, გობელენები, ფოტოხელოვნების ნიმუშები და თვით ახალგაზრდები, თავიანთი შემოქმედებით - ცოცხლად შესრულებული მრავალხმიანი ქართული ხალხური სიმღერებით.

1 აგვისტოს, დედოფლისწყაროს ცენტრში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე სკვერში, ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა გაიმართა. აქ თავი მოიყარეს ახალგაზრდებმა, რომელთა უმრავლესობასაც „ქართული ოცნების“ აქტივისტები შეადგენდნენ. ეს იყო არა მხოლოდ გამოფენა, არამედ კონცერტიც, სადაც ახალგაზრდები თავიანთ შემოქმედებას თამამად აცნობდნენ ერთმანეთს. როგორც ამ გამოფენის ორგანიზატორმა, „ქართული ოცნების დედოფლისწყაროს ახალგაზრდული ორგანიზაციის“ თავმჯდომარემ მაკა სულაშვილმა განაცხადა, მათ გადაწყვიტეს ამ ღონისძიებაში ჩაებათ ის ახალგაზრდები, რომლებიც შემოქმედებითად აქტიურები არიან. „ქართული ოცნება ხელს შეუწყობს მომავალი ტალანტების მოძიებასა და გამოვლენას და ეს იყო პირველი ნაბიჯი. მსგავსი ღონისძიებები კიდევ გაიმართება და ხელს შეუწყობს ხელოვანთა საზოგადოებაში ინტეგრირების პროცესს. ხელოვანისთვის საკუთარი შემოქმედების ხალხისთვის გაცნობა ხომ უმთავრესია“.

დემურ გიგაურის ხსოვნის ტურნირი გამარჯვებაში

სოფელ გამარჯვებამ ამავე სოფლის მკვიდრის, ფეხბურთელ დემურ გიგაურის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს უმასპინძლა ფეხბურთში. ტურნირში დედოფლისწყაროს 8 გუნდი მონაწილეობდა. პირველ ადგილზე ქალაქ დედოფლისწყაროს გუნდი გავიდა, მეორეზე სოფელ გამარჯვების, ხოლო მესამე - მეოთხე ადგილები ზემო მაჩხაანისა და ფიროსმანის სპორტსმენებით დაკომპლექტებულმა გუნდებმა გაინაწილეს. ასევე იასპარეზეს ქედების ზონის, სამრეკლოს, არბოშიკის და ოზაანის გუნდებმა. როგორც სოფელ გამარჯვების რწმუნებულმა გია ჭინჭარაულმა განაცხადა, დემურ გიგაურის ხსოვნის ტურნირი ყოველწლიურ ხასიათს ატარებს და სოფლის ტერიტორიული ორგანოსა და კულტურისა და სპორტის ცენტრის ძალისხმევით უკვე მეთოთხმეტედ ჩატარდა. გამარჯვებულებს სამახსოვრო პრიზები გადაეცათ, მათ შორის მთავარი პრიზი - ციკანი და 20 ლიტრი ღვინო წილად ერგო პირველ ადგილზე გასულ ქალაქ დედოფლისწყაროს გუნდს. შეგახსენებთ, უბედური შემთხვევის შედეგად 32 წლის სპორტსმენი დემურ გიგაური რამდენიმე წლის წინ ტბაში დაიხრჩო. ტურნირს მსაჯობდა აკაკი ნატროშვილი.

სასურსათო პროდუქტზე კონტროლი ჯანმრთელობის გარანტია!

მაღაზიებში ნაყიდი პროდუქტით შეიძლება მოინამლოთ

უკვე წლებია, ჩვენს ქვეყანაში სასურსათო პროდუქტის მიღება ადამიანის ჯანმრთელობისთვის სარგებლიანობასა თუ საფრთხისშემცველობაზე, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ადამიანთა უმეტესობას უკვე კარგად აქვს გააზრებული, რომ სუპერმარკეტების დახლებზე ლამაზად შეფუთული და დაფასოებული სურსათი მათი ჯანმრთელობისთვის უმეტესწილად საზიანოა, ვიდრე სასარგებლო. თუმცა, ამის მიუხედავად, ისინი ყიდულობენ ამ პროდუქტს და უფრო მეტიც, სავსებით გაცნობიერებულად სწორედ ეს არაჯანსაღი პროდუქტი მათი ყოველდღიური კვების რაციონადაა ქცეული. საბოლოოდ, მაგრამ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და სოციალური ფონი ხშირად აიძულებს ადამიანს, ღირებულების მიხედვით იყიდოს პროდუქტი. რითაც ვაწყდებით კიდევ უფრო დიდ უკიდურესობას,- ადამიანი ამით თავის ჯანმრთელობას დებს სასწორზე.

რაც არ უნდა ვამტკიცოთ, საკითხი ძალზედ მტკივნეულია და ყოფითი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ამ კუთხით ბევრს მუშაობს, მოდით ვაღიაროთ, რომ ამ პრობლემას მხოლოდ ერთი და ორი წლის შრომა ვერ მოაგვარებს, წმენდა საკმაოდ ძირეულად უნდა განხორციელდეს და პრობლემა სათავეშივე უნდა აღმოიფხვრას. თუ ვიცით, რომ „სადიას“ ქათამი, გაყინული ქათმის ბარკლები, გაყინული ფარში ან საბავშვო ბონი-ბონი, თუ საშინლად უვარგისი, ეგრეთწოდებული „ჟელიბონი“ არასასარგებლოა, ქიმიას შეიცავს და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია, მაშინ ისმის კითხვა, რატომ აძლევს მას მაკონტროლებელი ორგანო მათი წარმოების, შემოტანის და დახლებზე დადების უფლებას?!

ყველაფერი ეს ჩვენი, თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობის შერყევის საფასურად ხდება. ბოლო დროს ძალიან გახშირდა და თითქმის არ დარჩენილა ოჯახი, სადაც მოწამვლის ფაქტს ადგილი არ ჰქონოდა. ხშირად ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც ყვებიან, - ოჯახის წევრმა ერთ დღეში სასურსათო მაღაზიაში შეძენილი რამდენიმე სახის პროდუქტი მიიღო საკვებად, რაც მუცლის ტკივილში, ალერგიულ გამონაყარში, ან ფაღარათში გადაზრდილა. ხოლო ექიმებს და ოჯახის წევრებს ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მაინც გასჭირვებიათ, გაეგოთ და დაედგინათ ის მიზეზი, თუ რომელმა პროდუქტმა გამოიწვია ავადმყოფობა. გამოკვლევებით დადგენილია, რომ უმეტესწილად სწორედ ამგვარი უკონტროლო პროდუქციის საკვებად მიღება იწვევს ადამიანების ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, მკვეთრ სიმსუქნეს...და თუ მაღაზიის საკვების მიღებას სისტემატურად მივეძალეთ, ეს ყველაფერი უმოკლეს დროში წონის საგრძნობ მატებას გამოიწვევს.

ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა მოქალაქე საჭმელი პროდუქტის მიღებამდე ხვდება და არკვევს, რომ უვარგისი და გადასაყრელი პროდუქტი შეიძინა დახლიდან, დაზღვეული არავინაა იმისგან, რომ შეიძინოს დაკონსერვებული სიმინდი, რომელსაც გახსნისას შეამჩნევს, რომ არასასურველი სუნი აქვს, ანდა შეიძინა ნამცხვრის ფირფიტები, რომელსაც მწარე გემო დაჰკრავს, ან კიდევ კანფეტი აიღო, რომელსაც უკვე სიძველის გემო და ობი ემჩნევა.

ისმის კითხვა-რატომ აძლევს მაკონტროლებელი ორგანო საეჭვო პროდუქციის წარმოების, შემოტანის და მაღაზიის დახლებზე დაწყობის უფლებას?

აშკარაა, რომ სურსათის უვნებლობაზე კონტროლი გასამკაცრებელია, უფრო მეტიც, კიდევ სხვა მექანიზმები უნდა ამუშავდეს იმისთვის, რომ მაღაზიაში შესულმა მოქალაქემ, რომელიც ფულს იხდის და პროდუქტს ყიდულობს, დაცულად იგრძნოს თავი და შემადგენლობის წაკითხვის გარეშეც თავდაჯერებული იყოს, რომ პროდუქტი მის ჯანმრთელობას ზიანს არ მიაყენებს.

-რის მიხედვით აკეთებენ არჩევანს სასურსათო მაღაზიაში პროდუქტის ყიდვის დროს მოქალაქეები, რა არის მათთვის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, ფასის ხელმისაწვდომობა, თუ ხარისხი, რომელ პროდუქტს ანიჭებენ უპირატესობას-ქართულს თუ უცხოურს და რამდენად დაცულად გრძნობენ თავს, რომ შეძენილი პროდუქტი მათი ჯანმრთელობისთვის საზიანო არ გამოდგეს?! -ამ კითხვებით დედოფლისწყაროს სუპერმარკეტებში სასურსათო სანოვაგის შესაძენად გამოსულ დიასახლისებს გავესაუბრეთ.

ლალი მენთეშაშვილი -„ნაყიდი პროდუქტის მიმართ გული არასოდეს მიმდის, ყოველთვის მაქვს შეგრძნება, რომ ამ პროდუქტის მიღება როდისმე თავს იჩენს ისე, რომ ვერც მივხვდებით, რომ სწორედ ამ არაჯანსაღი პროდუქტით დაგვემართა, თუმცა, სხვა გზა და გამოსავალიც რომ არ არსებობს, ესეც ცხადია. აღნიშნული პრობლემა მეტ-ნაკლებად ყოველთვის იდგა დღის წესრიგში, თუმცა, ადამიანებს იმდენი ყოფითი საქმე გვაქვს, ხშირად მივივიწყებთ ხოლმე. კარგია, რომ ადგილობრივი პრესა ამ საკითხით დაინტერესდით, რაც უფრო ხშირად დაწერთ ამ საკითხის ირგვლივ და შეგვახსენებთ, რომ თითოეულ მოქალაქეს, დიახაც, უნდა გვქონდეს პრეტენზია ჯანსაღ პროდუქტზე და მოვითხოვოთ შესაბამისი სამსახურების „გამოფხიზლება“ ამ კუთხით.

აღნიშნულ საკითხზე ჩვენ დავუკავშირდით კახეთის სურსათის უვნებლობის სამსახურის მთავარ სპეციალისტს მანანა ზურაბაშვილს.-„ამ ეტაპზე ჩვენი სპეციალისტები საქონლის თურქულზე აცრით არიან დაკავებულები, სურსათის უვნებლობას რაც შეეხება, გვყავს ამის სპეციალისტი, რომელიც თელავში ზის და მთელი კახეთის რაიონებს მოიცავს. შეძლებისდაგვარად, გავდივართ რაიონებში და მოვიცავთ ლაგოდეხს, გურჯაანს, ყვარელს. ჯერჯერობით, დედოფლისწყარომდე არ გამოსულან, თუმცა, აგვისტოს თვეში ამ რაიონსაც ვეწვევით.

საერთოდაც, სახელმწიფო ამ კუთხით ძალიან ბევრს მუშაობს და არის პერსპექტივა, რომ ყველა რაიონს სურსათის უვნებლობის ერთი სპეციალისტი ჰყავდეს, რომელიც ბაზარში და მაღაზიებში დახლებზე დადებული პროდუქციის ვარგისიანობას გააკონტროლებს. ახმეტაში უკვე დაემატა სურსათის უვნებლობის სპეციალისტი და ძალიან კარგად მუშაობს. დედოფლისწყაროში, სამწუხაროდ, სურსათის უვნებლობის სპეციალისტი ჯერ არ გვყავს, არადა, ეს რაიონი საკმაოდ დიდია, ამასთან,აგრარული რაიონია და მხოლოდ ამ კუთხით, საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები ევალებათ ვეტერინარიის და სურსათის უვნებლობის სამსახურის თანამშრომლებს. ამიტომ, მართალიც ბრძანდებით და სავსებით მართებულია, რომ ერთი კარგი სპეციალისტი ამ რაიონში დროულად დაიშვას.“

-ქალბატონო მანანა, არასასურველი პროდუქტის აღმოჩენის შემთხვევაში, რა ბერკეტები გააჩნია თქვენს სამსახურს, რომ აკრძალოს ან გააუქმოს ის საქონელი, ანდა დაზარალებულმა მოქალაქემ, რომელმაც იყიდა დახლიდან ძველი პროდუქტი, სად შეუძლია განაცხადოს, რათა მეორედ ამგვარ ფაქტებს ნაკლებად წააწყდეს?!

- სუპერმარკეტში ვადაგასული და უხარისხო პროდუქტის ნახვის შემთხვევაში, ჩვენი სამსახურის მხრიდან არსებობს გამაფრთხილებელი ვადა, რათა მეპატრონემ უვარგისი პროდუქტი დროულად გაიტანოს, ხოლო მეორედ აღმოჩენის შემთხვევაში, უკვე ვაჯარიმებთ საკმაოდ მაღალი თანხით. ამიტომ, ყველა მეწარმეს, თუ ინდივიდუალურ გამყიდველს ვაძლევთ მკაცრ გაფრთხილებას, მოერიდნენ არასასურველ და პრობლემური საქონლის აღებას და შემდეგ მის რეალიზაციას.

როგორც ჩანს, წლების მანძილზე მიშვებულმა სურსათის უკონტროლობამ არაერთი მეწარმე გაანებივრა თვითნებურად შეტანილი პროდუქტის ყიდვა- გაყიდვით. სასიხარულოა, რომ ამჯერად, მთავრობამ ამ კუთხით არაერთი პროექტი შეიმუშავა და სასურსათო პროდუქტზე კონტროლი ძველებურად აღდგება, რაც მოსახლეობისთვის იმის გარანტი იქნება, რომ საკვები პროდუქტი, რომელშიც ჩვენი ბიუჯეტის საკმაოდ დიდ ნაწილს ვხარჯავთ, აღარ იქნება ჩვენი ჯანმრთელობისთვის საფრთხისშემცველი!

ლალი მეხრიშვილი

მეთევზეებსა და მონადირეებს საჯარიმო სანქციები გააცნეს

29 ივლისს, სხვადასხვა თემებზე სასაუბროდ „ადამიანისა და მტაცებლებს შორის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფი“ დედოფლისწყაროში მცხოვრებ მეთევზეებსა და მონადირეებს ვაშლოვანის ნაკრძალის ადმინისტრაციულ შენობაში შეხვდა. შეხვედრის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაცია მგლებზე, სხვა მსხვილ მტაცებლებზე და ადამიანსა და მტაცებლებს შორის კონფლიქტის კვლევის შედეგებზე. ასევე, მათ ნადირობისა, თუ თევზაობის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების თაობაზე ინფორმაცია დეტალურად მიეწოდათ.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის უფროსმა მერაბ ფიროსმანაშვილმა მონადირეებს დეტალურად გააცნო კანონაღსრულების სფეროში შეტანილი ცვლილებები (ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე და მიმდებარედ ნადირობის შესახებ) და კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაწესებული ჯარიმები.

მონადირეები ასევე გაეცვნენ რეაგირების ჯგუფის მუშაობას და იმსჯელეს თემებზე, რომლებიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველა მოქალაქისთვის.

ჯგუფის სურვილია ურთიერთთანამშრომლობის გზით დავიცვათ და გადავარჩინოთ ყველასთვის მნიშვნელოვანი და საყვარელი ბუნება. შეხვედრას ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ.

„გავაცანით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ზუსტი საზღვრები, ტყის რესურსების და ცხოველთა სამყაროს ობიექტების უკანონო მოპოვებით გარემოსათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში გათვალისწინებული სახდელის რაოდენობა. საქართველოს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო ნიხრები. მონადირეები არიან ის ჯგუფი, რომელსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მტაცებლებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ისინი ფლობდნენ სწორ ინფორმაციას, სწორედ ამას ეძღვნებოდა შეხვედრა. მათ მოისმინეს და ვფიქრობთ, გაიზიარეს ჩვენი მოსაზრებები,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ „ადამიანისა და მტაცებლის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფის“ ხელმძღვანელმა თემურ პოპიაშვილმა.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროში ამ მიმართულებით ცნობიერების ასამაღლებლად „ნაკრესი“ და „ადამიანისა და მტაცებლის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფი“ სხვადასხვა აქტივობებს ინტენსიურად ახორციელებს.

უკვე რამდენიმე წელია, რაც საქართველოში ხორციელდება „საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტი“, რომლის ზოგადი მიზანია უნიკალური და გლობალური მნიშვნელობის მქონე სემიარიდული ლანდშაფტის დაცვა. პროექტის ძირითადი ამოცანაა თუშეთისა და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებსა და მათ შემოგარენში ძირითადი მსხვილი მტაცებლების კონსერვაციის ეფექტური მექანიზმებისა და შესაძლებლობების განვითარება. პროექტს ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაცია „ფაუნა და ფლორა“ (Fauna&FloraInternational) და სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესი“. პროექტი დაფინანსებულია აკაციის კონსერვაციული ფონდის მიერ (Acacia Conservation Fund).

2011 წელს, „ნაკრესის“ ბაზაზე შეიქმნა „ადამიანსა და მტაცებლებს შორის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფი“. ჯგუფი ძირითადად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მუშაობს და ახორციელებს კონფლიქტის კვლევას და მუდმივ მონიტორინგს, რაც საშუალებას იძლევა, რომ განისაზღვროს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და მისი შემცირების გზები. როგორც ცნობილია, კონფლიქტის შემცირებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა თემთან კომუნიკაცია და ცნობიერების ამაღლებაა.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტის ხელშემწყობ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მტაცებლების, განსაკუთრებით კი მგლის შესახებ თემში არსებული მცდარი ინფორმაცია და ცრურწმენები.

ილია მარტყოფლიშვილი

არბოშიკში კვირიკობაზე სასულიერო პირები საინგილოდან ჩავიდნენ

28 ივლისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში მდებარე წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარში, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე მელქისედეკ ხაჩიძემ კვირიკობასთან დაკავშირებით, წირვა აღავლინა წირვის შემდეგ კი ლიტანიობა ჩაატარა.

გაზეთ „შირაქის ინფორმაციით, ჰერეთიდან სოფელ არბოშიკში სტუმრად იმყოფებოდა არქიმანდრიტი დემეტრე (თეთრუაშვილი) და დეკანოზი იოსები მინდიაშვილი ქუთაისიდან.

ხალხური გადმოცემით, წმიდა კვირიკესა და ივლიტას ოჯახური ბედნიერებისა და ავადმყოფი ბავშვების გამოჯანმრთელებისათვის ევედრებიან.

წმიდა მოწამენი კვირიკე და ივლიტა მცირე აზიის ლიკონიის ოლქის ქალაქ იკონიის მკვიდრნი იყვნენ. წმიდა ივლიტა დიდებულთა საგვარეულოს შთამომავალი და ქრისტიანი იყო. იგი ადრე დაქვრივდა და თავის 3 წლის შვილს, კვირიკეს ზრდიდა. იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს დაწყებული ქრისტიანთა დევნისას წმიდა ივლიტამ შვილითურთ, ორი ერთგული მონა ქალის თანხლებით ქალაქი დატოვა.

გამოხმაურება ყოფილი ძალოვანის ღია წერილზე

საredაქციო ფოსტა

ბოდიშის მოხდა ვაჟკაცის წესია, მაგრამ წინა მთავრობამ სისტემის დამნაშავეებად გაქციათ, ვაჟკაცობა არაკაცობით შეგიცვალათ, ამიტომაც მე თქვენი არ მჯერა!

თამაზ თამაზაშვილი სიკეთისა და ვაჟკაცობის განსახიერებაა. ბევრ გაჭირვებულ ხალხს დახმარებია, იგი ყოველთვის იდგა ხალხის სადარაჯოზე თავის სიცოცხლის ფასად. მხედრიონელები, ნარკოტიკებით გაჟღენთილები, დედოფლისწყაროში რომ შემოვიდნენ, თამაზაშვილი მათ ბეტეერს წინ აღუდგა. თავისი თავდადებული შრომით გახდა გენერალი, თქვენ კი გენერალს იარაღი ჩაუდეთ და ალალმართალი კაცი დაიჭირეთ, მისი ოჯახის წევრები და ახლობლები გაანადგურეთ. რუსთავი 2-ზე ყოველდღე თამაზაშვილის ამსახველ კადრებს რომ უყურებდით, რას ფიქრობდით?

მე ვიცი ციხე რაა! კომუნისტების დროინდელმა არაკაცებმა რაიკომის აფეთქება მომიწყეს, უშიშროების კომიტეტის ციხეში დახვრეტის მუხლით ამომაყოფინეს თავი. მე და თამაზაშვილს მთავრობის შეცვლამ გვიშველა, ბედნიერები ვართ, რომ გამოჩნდნენ ღვთისნიერი ადამიანები, რომლებმაც ჩვენი სიმართლე იწამეს და ჩვენს შვილებს მამები ცოცხლები დაუბრუნეს. ბოლო წლებში ნაციონალებმა ბევრი ახალგაზრდა გაგვიუბედურეს, ამიტომ ეს დამნაშავე პარტია უნდა ამოიძირკვოს!

ბოდიშის მომხდელი საქართველოს შვილია და ყველამ უნდა ვაპატიოთ... ვიცი, რომ თამაზაშვილი ბოროტებას სიკეთით უპასუხებს, ქართველმა ხალხმა ისეთი რამე არ უნდა გავაკეთოთ, ბოდიშის მოხდა დაგვჭირდეს, თუმცა დედოფლისწყაროს მრევლს ბოდიშის მოხდა მოგვიწევს მამა ნიკოლოზთან, რომ სათანადოდ ვერ დავიცავით ჩვენი გვერდით დგომით. ნუთუ, არ დადგა ის დრო, ხალხმა აირჩიოს თავისი სასურველი კანდიდატი, კომუნისტური და ნაციონალური წყობა ხომ აღარ არის? მამა ნიკოლოზი, რომელმაც ხალხთან ერთად ეკლესია ააშენა, ხალხს ჩამოაშორეს, იგი ხომ ჩვენი საამაყო, სასიქადულო მამულიშვილია. მე მასთან შეხვედრისას სიამაყით მევსებოდა გული, მიხაროდა, რომ კეთილი ადამიანი მესალმებოდა. ეს სიხარული დამიკარგა ერთმა პიროვნებამ, რაც არასწორია. ხალხის მოთხოვნა უნდა აღსრულდეს,მამა ნიკოლოზი დედოფლისწყაროს მრევლს დაუბრუნდეს. ღმერთი იყოს თქვენი და საქართველოს მფარველი.

პატივისცემით, თამაზ აბაშიძე.

ელიაობა

ელიაობა ყოველწლიურად 2 აგვისტოს აღინიშნება. განსაკუთრებულად ამ დღეს დედოფლისწყაროში დღესასწაულობენ, სადაც ელიას მთაზე წმიდა ილია თეზბიტელის სახელობის მეექვსე საუკუნის ტაძარი, რამდენიმე წელია, აღადგინეს. მრევლი სპეციალურად ამ დღისთვის დედოფლისწყაროში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩადის.ასე იყო წელსაც.ნინო ღამბაშიძე (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი): "ამინდის შეცვლასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების გარდა, რომლებიც მაის-ივნისში, ან საჭიროების დროს იმართებოდა, ხალხურ დღეობათა კალენდარში გამოყოფილია განსაკუთრებული დღე -2 აგვისტო (ძვ. სტ. 20 ივლისი), როდესაც ამინდის განმგებელისელიას სახელობის დღე აღინიშნება. საეკლესიო კალენდარიც ამ დღეს ილია წინასწარმეტყველს, იგივე თესბიტელს მოიხსენიებს. უძრავი დღესასწაულის გარდა, წმიდა ელიას გვალვის დროს გაწვიმებას არა მარტო ხალხი, არამედ ეკლესიაც შესთხოვდა.

წმ. ილია (ელია) წინასწარმეტყველი ქრისტეს მოსვლამდე IX ს-ში პალესტინის ქალაქ თესბიტში ცხოვრობდა. საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, რომელიც წმ. ეპიფანე კვიპრელიდან მომდინარეობს, წმ. ილიას მამას ჰქონდა ჩვენება: პატივცემული მამები ახალშობილ წმ. ილიას მოწიწებით ესალმებოდნენ, ახვევდნენ ცეცხლოვან სახვევებში და ცეცხლით კვებავდნენ. იერუსალიმელმა მღვდლებმა მამას ჩვენება განუმარტეს და უთხრეს, რომ მისი ვაჟი იერუსალიმს ცეცხლითა და მახვილით განსჯიდა. მართლაც, წმ. ილია ისრაელის ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველი გახდა. იგი მეფე აქაბის დროს მოღვაწეობდა. უკეთური მეფე აქაბის (მან უღალატა ჭეშმარიტ ღმერთს და მის ნაცვლად წარმართული კერპი აღმართა) დასასჯელად ისრაელს სამწლიანი გვალვა მოევლინა, თავად წმ. ილია კი ღვთის მითითებით უდაბნოში მთის ნაკადულთან იმალებოდა, სადაც მასთან ყორნებს დილა-საღამოს პური და ხორცი მიჰქონდათ. ქვეყანას საშინელი გვალვა და შიმშილი დაატყდა თავს. ხალხმა ნელ-ნელა ჭეშმარიტი ღმერთის გახსენება დაიწყო.

ამასობაში, ღმერთის მითითებით, ილია წინასწარმეტყველმა ბაალის ქურუმი გამოიწვია და შესთავაზა, გამოეცადათ, რომელი იყო ჭეშმარიტი ღმერთი: იაჰვე თუ ბაალი. ორივე მხარეს საკუთარი ღმერთისთვის თითო მოზვერი ისე უნდა შეეწირა, რომ შეშისთვის ცეცხლი არც ერთს არ მოეკიდებინა. ჯერ ბაალის მსახურებმა ილოცეს ბაალის წინაშე მთელი დღე, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ წმ. ილიამ უფლის დანგრეული საკურთხეველი თორმეტი ქვით ამოაშენა და სამსხვერპლო მოზვერზე დიდძალი წყალი დაასხმევინა, დაიჩოქა და იაჰვეს წინაშე ილოცა. დაასრულა თუ არა წინასწარმეტყველმა ლოცვა, ზეციდან ელვასავით გადმოსულმა ცეცხლმა მიწიანად დანთქა მსხვერპლი, შეშა, ქვები, ამოაშრო წყალი. ახლა კი კვლავ ირწმუნა ხალხმა იაჰვე. ამის შემდეგ, წმ. ილია ავიდა მთაზე და ღმერთს მხურვალედ ევედრებოდა, წვიმა მოევლინა. შვიდგზის ლოცვის შემდეგ მოვიდა ნანატრი წვიმა. ასე დასრულდა ისრაელში სამწლიანი გვალვა.



გამოხდა ხანი. ამ ხნის განმავლობაში მრავალი რამ მოხდა ისრაელში. დადგა ილია წინასწარმეტყველის გარდაცვალების დრო, მაგრამ ღმერთმა იგი ცეცხლოვანი ეტლით, ქარბორბალას დახმარებით ზეცაში ცოცხლად აიტაცა. მეორედ მოსვლის დროს იგი წმიდა ენოქთან (ასევე წინმასწარმეტყველი) ერთად იქადაგებს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, რისთვისაც ორივეს მოკლავენ. წმიდა ილიამ (ელიამ) თავისი ხალენი (მოსასხამი) დედამიწაზე დატოვა. იგი საქართველოში 26 საუკუნის წინ მოსულმა ებრაელებმა მოიტანეს და სამარხოში საიდუმლოდ ინახავდნენ. სამარხო (სიწმინდეების შესანახი და სამალავია), სადაც ებრაელები ელიას ხალენს ინახავდნენ, მცხეთაში, ბაგინად წოდებულ მათ სალოცავში იყო. ხალენის საქართველოში არსებობა IV ს-ში გამჟღავნდა, როდესაც წმ. ნინო მცხეთაში მოვიდა. მართალია, ხალენის ზუსტი ადგილსამყოფელი ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი, მაგრამ ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, იგი უფლის კვართთან ახლოსაა დაფლული.

ხალხის წარმოდგენით, ელია თითქოს ბრმა ხარაზია, რომელიც ეტლს დააქროლებს ცაში და სეტყვას უშენს სოფლებს; თითქოს ელიას ეშმაკი დაჰყვება და შეცდომაში შეჰყავს. ეშმაკს ელია "შეცდომაში" რომ არ შეეყვანა, ხალხი ზარებს რეკდა, თოფებს ისროდა, რათა ელიას გაეგო, რომ ის ადგილი დასახლებული იყო და არ დაესეტყვა.

1 აგვისტოს, ღამით, ტრადიციული წირვა-ლოცვა ჩატარდა ელია თეზბიტელის სახელობის ტაძარში, ბევრმა ღამეც აქ გაათია.2 აგვისტოს კი ხალხით კვლავ გაივსო ელიას მთა. მომლოცველებმა ხალხურ გადმოცემებს და ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს და ეკლესიაში შესვლამდე სანთლები იმ ადგილას დაანთეს, სადაც ეკლესიის აგებამდე ანთებდნენ.

სერაფიმე საროველი: არასოდეს იომოთ საქართველოსთან,ეს დაღუპავს რუსეთს

19 ივლისს (1 აგვისტოს) აღინიშნება აღმოყვანება ნაწილთა ღირსისა სერაფიმე საროველისა, საკვირველთმოქმედისა (1903).

ღირსი სერაფიმე საროველი 1754 წლის 1 ივლისს დაიბადა კურსკში. საროვის უდაბნოში მოღვაწე წმიდა მამის ნათელი უხვად ეფინებოდა მთელ რუსეთს. ანგელოზებრივ სიწმიდეს მიახლებული, განჭვრეტისა და სასწაულთქმედების ნიჭით შემკული მამა 1833 წლის 2 იანვარს მიიცვალა. იგი პატივით მიაბარეს მიწას ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის საკურთხევლის მარჯვენა მხარეს.

რუსულ მედიაში შარშან ზაფხულში გამოქვეყნდა წერილი სერაფიმე საროველზე, სადაც გამოთქმული იყო დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ წმინდანს მიეწერებოდა სიტყვები: „არასოდეს არ იომოთ საქართველოსთან, ამით თქვენ შეებრძოლებით დედას ღვთისას... ეს დაღუპავს რუსეთს".

ცნობილია, რომ სერაფიმე საროველს გამოცხადებით ემცნო: „დედამიწაზე ღვთისმშობლის პირველი წილხვედრია საქართველო - ივერია, მეორე - ათონი, მესამე - კიევო-პეჩორის ლავრა და მეოთხე იქნება დივეევო".

1903 წლის 19 ივლისს, ნეტარი სერაფიმეს დაბადების დღეს, საროვში რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის, სამეფო ოჯახის სხვა წევრებისა და სამასი ათასამდე მლოცველის თანდასწრებით აღესრულა მისი წმიდა ნაწილების საზეიმო აღმოყვანება. ისინი მათთვის წინასწარ გამზადებულ ლუსკუმაში გადააბრძანეს ხალხის თაყვანსაცემად. ამ მოვლენას მრავალი ნიშ-სასწაული და კურნება ახლდა თან.

წმიდა სერაფიმე საროველი, რომლის ხსენებაც აღესრულება 15 იანვარს, უფალმა არაერთხელ გახადა საღვთო ხილვების ღირსი: სერაფიმე წირვა-ლოცვის დროს ცხადად ხედავდა ანგელოზებს. განსაკუთრებული მადლით აავსო წმიდა მამა თავად მაცხოვრის გამოცხადებამ, დიდ ხუთშაბათს, საღვთო ლიტურღიაზე. ამ ხილვის შემდეგ მან გაამკაცრა ღვაწლი: დილით სავანეში შრომობდა, ღამით კი-უდაბურ ტყეში, კელიაში ლოცულობდა. მთელი კვირების განმავლობაში აქ ლოცულობდა და მხოლოდ შაბათობით, მწუხრის ლოცვის წინ მოდიოდა სავანეში, ლიტურგიის შემდეგ კი უკანვე ბრუნდებოდა, მაცხოვრის სისხლთან და ხორცთან ზიარებით განმტკიცებული.

მოგვიანებით მან ახალი ღვაწლი ითვირთა - ყოველ ღამით ის ერთ უზარმაზარ ქვაზე ადიოდა და ხელაპყრობით ლოცულობდა: „უფალო, შემიწყალე მეცოდვილი." დღისით კელიაში აგრძელებდა ლოცვას. აქაც ტყიდან მოტანილ ქვაზე იდგა, საიდანაც იშვიათად ჩამოდიოდა. ასე ლოცულობდა წმიდანი 1000 დღე-ღამის განმავლობაში. უფალმა მოშურნე ბერს ხანგრძლივი და გულმოდგინე მოღვაწეობისათვის განჭვრეტისა და სასწაულთმოქმედების ნიჭი მიმადლა. 1825 წლის 25 ნოემბერს ღვთისმშობელმა მას გამოცხადებით მოუწოდა ხალხის სამსახურისაკენ და ამ დღიდან წმიდანის კელიის კარები ღია იყო ყველა მსურველისათვის. მოძღვარი ჭვრეტდა აღმსარებლის გულებს და ღვთისადმი აღვლენილი ლოცვებით კურნავდა მათ სულიერ და ხორციელ სნეულებათაგან. წმიდანი განსაკუთრებულად ზრუნავდა თავის საყვარელ დივეევოს დედათა სავანეზე. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ლოცვის დროს ჰაერში ამაღლებულიც უხილავთ.

ხსოვნა

გიორგი აბიათარი

ჩემო ერთადერთო სიხარულო, შვილო, გიორგი, 5 წელი გვაშორებს ერთმანეთს.დედისთვის ეს 5 წელი ტკივილიანი, მწუხარებით სავსე იყო.ჩემო ბიჭო,შენი ჭაბუკური სიცოცხლე სამშობლოს სიყვარულს შესწირე.შენს საფლავზე ყოველთვის იფრიალებს საქართველოს დროშა.ყოველი წლის 8 აგვისტოს შენი ახლობლები მოვლენ და გაიხსენებენ 2008 წლის ომს,გაიხსენებენ,თუ როგორ არ შეუშინდი დედისერთა ბიჭი მტრის ტყვიას და დედის სიყვარული სამშობლოს ანაცვალე.

რატომ მესიზმრე წყლის საფარველში,
მართლა შეწუხდი, შვილო?
როგორ იქნება, რომ არ ვიტირო,
შენ, ჩემო თვალისჩინო.
როგორ იქნება, რომ არ ვთქვა ზარი,
ჩემს თავზე დატეხილი
და არ ვიგლოვო ჩემი ნანატრი ვაჟი.
არ შეეკვედრო მამაზეციერს,
არ შეეაბრალო თავი.
არ ვნახო შენი საფლავი,
დედისთვის საფიცარი!

დედა ლიზა

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი" იწყებს „ხსოვნის წიგნი"-ს გამოცემას, სადაც შეგიძლიათ თქვენი გარდაცვლილი წევრისა თუ ოჯახის ახლობლის მოხსენიება.

„ხსოვნის წიგნში" გარდაცვლილის ფოტოსურათისა და შესაბამისი ტექსტის განთავსების მსურველებმა გთხოვთ მოაკითხოთ გაზეთ „შირაქის" რედაქციას. ფასი ხელმისაწვდომია.

სახალხო დღესასწაული — „ჩემი დედოფლისწყარო“

(პირველი გვერდიდან)

ტრისტან სარალიძე: „მინდა მივულოცო დედოფლისწყაროელებს ეს დღე და სიყვარული გამოვხატო. ჩამოვედი იმიტომ, რომ ვიცოდი, მოვდიოდი ძირძველ საქართველოში, მხნე და ლამაზ კუთხეში.

ანსამბლი გორდელა: „გვიხარია, რომ ვიმყოფებით დედოფლისწყაროში. დავესწარით ფილმის ჩვენებას, რამაც ამაღლებული განწყობა შეგვიქმნა. ჩამოვედით იმიტომ, რომ მოვეფეროთ ქიზიყელებს და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ საუკეთესო განწყობა შევუქმნათ დედოფლისწყაროელებს. გილოცავთ ელიაობას, გფარავდეთ, იხარეთ და იბედნიერეთ. სამწუხაროდ, ქალაქის დათვალიერება ვერ მოვასწარით. ელიას მთა გვაინტერესებს ძალიან. თუმცა, ჩვენი ანსამბლის ერთ-ერთი წევრი თამუნა ალადაშვილი დედოფლისწყაროელია, სოფელ არბოშიკიდან გახლავთ და იმედი გვაქვს, სხვა დროს კერძო ვიზიტისას შევძლებთ ელიას მთაზე ასვლას და მონასტრის მონახულებას“.

მაყვალა გონაშვილი: „არსად არ მაქვს ისეთი მძაფრი განცდა, როგორც დედოფლისწყაროში. მიუხედავად იმისა, რომ მეც და ჩემმა მშობლებმა სკოლა თბილისში დავამთავრეთ, ამაზე სატაყვანო ადგილი დედამიწის არცერთ ადგილზე არ არის. ესაა ჩემი ბავშვობა, ჩემი პაპა და მისი ზღაპრები, ბებიის ლეჩაქი. ყველაფერი წმინდა ისე მახსოვს, როგორც ზღაპარი. მიხარია, რომ დღეს ამდენი ცნობილი ადამიანი ჩემს მიწაზე ჩამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ შეკვეთილში ზღვაზე შვილებთან ერთად დასასვენებლად ვიმყოფებოდი, სასწრაფოდ წამოვედი და ამ ლამაზ დღესასწაულს დავესწარი. შვებულებას ძალიან მონატრებული ვიყავი, მაგრამ სადაც არ უნდა დავეპატჟე, ალბათ არ წავიდოდი, ცხადია დედოფლისწყარო გამონაკლისია. ხშირად მიწევს აქ ჩამოსვლა. სოფელ არბოშიკში მამის, პაპის და ბებიის საფლავები გვაქვს. ძალიან კარგი გეგმები გვაქვს დედოფლისწყაროელ პოეტებთან დაკავშირებით და მომავალ თვეებში ამასაც შეიტყობთ. ჩემს დედოფლისწყაროელებს ელიაობის დღესასწაულს ვულოცავ. 16-17 წლის ვიყავი, როცა ჩემი ერთ-ერთი პირველი ლექსი ელიას მიეძღვნა, რომელიც რუსულ ენაზეც ითარგმნა. ახლაც მახსოვს ის შეგრძნებები.“

ირმა შიოლაშვილი: „დედოფლისწყაროში ქართული სული ზეიმობს. დიდი ხანია, ასეთ ლამაზ ღონისძიებას არ დავსწრებივარ. ძალიან მადლიერი ვარ, რომ მოწვეული ვარ და ჩემი თანაქალაქელების გვერდით ვიმყოფები. ჩემს ქიზიყელებს ვულოცავ ამ დღესასწაულს. დღეს განსაკუთრებით ვგრძნობ ნოსტალგიას, რადგან დღეს ჩემს ფესვებს დავუბრუნდი, საიდანაც ვიწყები“.

მარინე ცხვედიაშვილი: „სიხარულით მოვდიოდი მშობლიურ დედოფლისწყაროში, ჩემს ქიზიყში, რადგან ეს არის ერთიანობის, მთლიანობის და დიდი სიყვარულის გამოხატულება. კიდევ ერთხელ შევახსენეთ ერთმანეთს, რომ ძალიან გვიყვარს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი კუთხე, ბედნიერები ვართ, რომ ერთად ვართ. ძალიან მინდა, ამ მშვენიერი კუთხიდან მთელმა საქართველომ გაიგოს, რომ ჩვენ ვცოცხლობთ და არცთუ უშედეგოდ“.

ნინო ბახუტაშვილი: „ფანტასტიური დღე იყო, ვფიქრობ, მრავლად იყო სიურპრიზები. როგორი ღონისძიება გამოვიდა, ჩემი შეფასება უხერხული იქნება. მომავალში უფრო კრეატიული და საინტერესო გეგმები გვაქვს.“

ილია მარტყოფლიშვილი
ინგა შიოლაშვილი

ივლისში საქართველოში 609 189 ტურისტი შემოვიდა

შს სამინისტროს საინფორმაციო -ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ივლისში, საქართველოს საზღვარზე გადაადგილებული ვიზიტორების ჯამური რაოდენობა 609 189 იყო, რაც 15,6 %-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე.

რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ - ივლისის ინტერვალს, დასახელებულ შუალედში ჯამურმა რაოდენობამ 2 797 910 ვიზიტი შეადგინა, რაც 26%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე. აქედან 1 085 378 ტურისტი იყო, (საერთო რაოდენობის 39%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 21,4%- ია).

2013 წლის ივლისში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ სომხეთიდან (162592), თურქეთიდან (139002), რუსეთიდან (115871), აზერბაიჯანიდან (109704), უკრაინიდან (14113) და ირანიდან (9248) განხორციელდა.

ასევე, გარკვეული ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით ივლისში გამოირჩევიან პოლონეთის და ჩეხეთის (შესაბამისად 86% და 39%), შუა აზიის ქვეყნებიდან - უზბეკეთისა და ყაზახეთის (შესაბამისად 25% და 33%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი ბელორუსიის მოქალაქეები - 57% —იანი მატებით.

ულოცავენ!

თამარ თამაზაშვილს!
ვასიკო აბულაშვილს!

გილოცავთ შვილების - ანი აბულაშვილის და სოსო პოპიაშვილის ქორწინებას. ახლადშეუღლებულებს ვუსურვებთ სიყვარულს, ბედნიერ მომავალს და აკვანთა სიმრავლეს, თქვენ კი ბედნიერ პაპა-ბებიობას!

მირზაანის საკრებულოს თანამშრომლები.

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 05.08	სამშაბათი 06.08	ოთხშაბათი 07.08	ხუთშაბათი 08.08	პარასკევი 09.08	შაბათი 10.08	კვირა 11.08
დღე	19 °	20 °	22 °	22 °	18 °	16 °	20 °
ღამე	17 °	19 °	21 °	21 °	16 °	15 °	18 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K